**საქართველო**

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი**

**საკრებულო**

**GEORGIA**

**RUSTAVI CITY MUNICIPALITY**

**COUNCIL**

---

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

| | |
|---|---|
| საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: | **ნინო ქავთარაძე** |
| საანგარიშო პერიოდი: | 01.11.2019 – 01.11.2020 |
| თანამდებობა: | 1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;<br>2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;<br>3. გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;<br>4. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი;<br>5. ევროპის საბჭოს კონგრესის მუდმივმოქმედი დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე. |
| კომისი(ებ)ის დასახელება: | 1. საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი;<br>2. საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. |
| დროებითი სამუშაო ჯგუფები: | 1. ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი<br>2. რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი |

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 (13 რიგითი, 11 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 21 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 21 სხდომა

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პროცესში ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 3 სხდომა.

- საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:

დადგენილება - 67;

განკარგულება - 136.

ქვემო ქართლის სამხარეო - საკონსულტაციო საბჭოს სხდომების რაოდენობა:

ჩატარდა - 6 სხდომა

---

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:

ა) კომისიები:

✓ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია:

ჩატარდა - 11 სხდომა; დასწრება - 10 სხდომა

✓ სოციალურ საკითხთა კომისია:

ჩატარდა - 5 სხდომა; დასწრება - 5 სხდომა

---

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“ :

ჩატარდა - 3 სხდომა

---

გ) დროებითი სამუშაო ჯგუფები:

✓ გენდერული თანასწორობის საბჭო:

ჩატარდა - 1 სხდომა; დასწრება - 1 სხდომა

გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა: 1 სხდომა

✓ რუსთავის განვითარების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

✓ ვეტერანების საკთხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

ჩატარდა - 1 სხდომა; დასწრება - 1 სხდომა

---

❖ **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

1. ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის წევრი;

2. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების დროებითი სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი;

3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების გაწევის მიზნით შექმნილ სათათბიროსაკონსულტაციო ჯგუფის წევრი;

4. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტების მოძიება/მიღებასთან დაკავშირებული და ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტის თანადაფინანსებით პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი;

5. რუსთავი - თბილისის მარშრუტზე M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დადგენილი ფასის შესწავლის მიზნით, შესაქმნელი საბჭოს წევრი;

6. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი;
7. უსახლკარო პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისის წევრი;
8. საპატიო წოდების მინიჭებაზე პასუხიმგებელი სამუშაო ჯგუფის წევრი.

---

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2019 – 2020 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა

---

❖ **საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) და ევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის ეგიდით ჩატარებულ ღონისძიებებზე დასწრება:**

1. ევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის ონლაინ სხდომა. ( 17 სექტემბერი )

2. ევროპის საბჭოს ადგილობრივ თვითმმართველობათა კონგრესის საწესდებო ონლაინ სხდომა ( 29 სექტემბერი)

3. საქართველოსა და აზერბაიჯანის მუნიციპალიტეტებს შორის გამართული ონლაინფორუმი- " COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკების გამოცდილების გაზიარება" (30 ივლისი)

- საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული პროექტები:

  - საანგარიშო წლის დასაწყისში , ჩემი ინიციატივით და ჩართულობით განვახორციელეთ პროექტი მშობლებისათვის, რომლის ფარგლებშიც 250-მდე მშობელი დაესწრო PR აკადემიასა და „ალტერბრიჯთან“ პარტნიორობით ჩატარებულ 4 დღიან სემინარს „ პროფესია მშობელი“ , რაც ემსახურებოდა მოზარდი თაობების აღზრდაში სკოლის, საზოგადოებისა და ოჯახის ჩართულობას.
  - ჩემი მონაწილეობით და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) პარტნიორობით, მოვახდინეთ ხანდაზმულების კოვიდ-19-ის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტებითა და სადეზინფექციო საშუალებებით უზრუნველყოფა.
  - წელსვე ჩემი უშუალო ჩართულობით , რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების ბაზაზე დაფუძნდა „ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების კლუბი 60 + “, ეს პროექტი განხორციელდა რუსთავის მუნიციპალიტეტის , გაეროს მოსახლეობის ფონდის და ლიბერთი ბანკისა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე.

---

- საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული „რეგლამენტით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

2020 საანგარიშო წელი თავისი შინაარსით სრულიად განსხვავებულია წინა საანგარიშო წლებისგან. კოვიდ 19-ს გავრცელებასთან დაკავშირებით რუსთავის მუნიციპალიტეტი საგანგებო მუშაობის რეჟიმზე გადავიდა. მუშაობა დაიწყო „ რუსთავის მუნიციპალიტეტის კორონა ვირუსის შემოტანასა და გავრცელების აღკვეთის მიზნით შექმნილმა საკოორდინაციო საბჭომ“, რომლის ფარგლებში ჩავატარეთ 24 სხდომა და აქტიურად ვიყავი ჩართული როგორც საბჭოს მუშაობაში, ასევე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაში. კერძოდ, მოსახლეობის საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი და სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის ინტერნეტის საფასურის გადახდა, ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისათვის სასურსათო პაკეტების მომზადება-მიწოდება, უფასო სასადილოების ბენეფიციარებისათვის სადილის ბინაზე მიწოდება მოხალისეების ჩართულობით.

ასევე ჩემი ჩართულობით განვახორციელეთ სკოლებისა და ბაღების სასწავლო ... მონიტორინგი

წლის მანძილზე რეგულარულად მქონდა შეხვედრები როგორც განათლების, კულტურის, სამედიცინო და სხვა სფეროების წარმომადგენლებთან, ასევე ქალაქის მოსახლეობასთან, ახალგაზრდებთან, ამ შეხვედრების შედეგად, ჩემი ჩართულობით, რუსთავის მე-6 მოწვევის საკრებულომ განახორციელა რამდენიმე ცვლილება რუსთავის მუნიციპალიტეტის სოციალურ პროგრამებში.

სამოქალაქო აქტივისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული გარემოსდაცვითი საკითხების განხილვაში. ჩავატარეთ რამდენიმე შეხვედრა ორგანიზაციასთან - „საქართველოს მწვანეთა მოძრაბა /დედამიწის მეგობრები“ და ონლაინ კონსულტაციები ეკოლოგიის ექსპერტებთან. შეხვედრების შედეგად რუსთავში დაიგეგმა და ხორციელდება სხვადასხვა ეკოლოგიური აქტივობები, რაც ემსახურება ქალაქში ჰაერისა და წყლის ხარისხის გაუმჯობესებას.

აქტიურად ვარ ჩართული მომაცვალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხებში და და ვფიქრობ, 2021 წლის ბიუჯეტი ორიენტირებული იქნება კოვიდ 19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი გამოწვევების გადაჭრაზე, მოსახლეობის საჭიროებებსა და ქალაქის განვითარება-გაძლიერებაზე.

თარიღი: 30.10.2020

ხელმოწერა: ნინო ქავთარაძე